ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/09

დაბა ქედა,

30 ივნისი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო: 14:05 საათზე
სხდომა დამთავრდა: 14:50 საათზე

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 18.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა აბულაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან წულუკიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
ირაკლი მახარაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი.
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ივნისის №01-06/09 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ქონების მართვის
განყოფილების უფროსი: გულადი წითელაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

2. ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმზე" ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უვადოდ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ქონების მართვის
განყოფილების უფროსი: გულადი წითელაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით შპს „ქედის წყალკანალი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ქონების მართვის
განყოფილების უფროსი: გულადი წითელაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ქონების მართვის
განყოფილების უფროსი: გულადი წითელაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

5. სს -„აჭარის წყლის ალიანსი"-სათვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ქონების მართვის
განყოფილების უფროსი: გულადი წითელაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

დღის წესრიგის დამტკიცებამდე ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ ფრაქციის სახელით მიმართა სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძეს შემდეგი სხდომისთვის ბიუროს სხდომის რამოდენიმე დღით ადრე ჩატარების შესახებ, საკითხების უკეთ გაცნობის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ბიუროს სხდომის ჩატარება შემდეგი სხდომისათვის სხდომამდე რამოდენიმე დღით ადრე იქნებოდა შესაძლებელი, თუმცა საკითხების გაცნობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრებს საშუალება აქვთ ბიუროს სხდომის ჩანიშვნამდეც გაეცნონ საკითხებს, რადგანაც ინიცირებული საკთხები, რეგისტრაციისთანავე ეგზავნება ყველა საკრებულოს წევრს გასაცნობად.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ივნისის №01-06/09 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ აღნიშნა, რომ ფრაქციის მრავალჯერადი თხოვნის მიუხედავად ქედის მუნიციპალიტეტის მერის როლანდ ბერიძის საკრებულოს სხდომაზე დასწრება მაინც ვერ მოხერხდა, რათა ,,საერთაშორისო-გამჭვირვალობა საქართველო"-ს მიერ გამოქვეყნებული დასკვნის შესახებ პირადად მისგან მოესმინათ პასუხი. კერძოდ, დავით სირაბიძე საუბრობდა 2023 წლის 14 ივნისს ,,საერთაშორისო-გამჭვირვალობა საქართველო"-ს მიერ გამოქვეყნებული დასკვნის შესახებ, სადაც მაღალჩინოსან ძმებ ბერიძეებთან დაკავშირებული ,,ესია ჯგუფი" -ს მიერ ბოლო ორი წლის განმავლობაში აჭარაში **1,869,747** (ერთი მილიონ რვაასსამოცდაცხრაათას შვიდასორმოცდაშვიდი) ლარის სახელმწიფო შესყიდვების განახორციელება მოხდა. ,,ესია ჯგუფი" ქედის მუნიციპალიტეტის მერიისა და აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტენდერებში გამარჯვებული კომპანიების ქვეკონტრაქტორი კომპანია იყო. შესაბამისად, ქვეკონტრაქტორი კომპანია ტენდერებით გათვალისწინებული თანხის თითქმის 100% იღებდა, რაც კორუფციულ გარიგებებზე მიანიშნებდა. აქვე აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერია იმ შემთხვევაში მალავდა ხელშეკრულებებს, სადაც ,,ესია ჯგუფი" იღებდა ვალდებულებებს. შემდეგ კითხვით მიმართა სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძეს საკრებულო, როგორც მაკონტროლებელი ორგანო გამოქვეყნებული დასკვნის შესახებ რა ინფორმაციას ფლობდა და თუ მოხდა რაიმე სახის რეაგირება აღნიშნულთან დაკავშირებით.

კითხვასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ იყო ინფორმირებული და ვერ გასცემდა პასუხს.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ რომან დავითაძემ მერის დასწრებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ,,საერთაშორისო-გამჭვირვალობა საქართველო"-ს მიერ გამოქვეყნებული დასკვნა არ შეესაბამებოდა რეალობას და მსგავს ბრალდებებზე

საუბარი საკრებულოს სხდომაზე არ მიაჩნდა მიზანშეწონილად. რაც შეეხება ქედის მუნიციპალიტეტის მერის სხდომაზე დასწრების აუცილებლობას ამ ეტაპზე დატვირთული სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე მოუწოდა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარეს დავით სირაბიძეს თვითონ შეხვედროდა მერს და გადაემოწმებინა აღნიშნული ინფორმაცია.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა მერის არყოფნის დროს მისი წარმომადგენელი დასწრებოდა სხდომას და კითხვებთან დაკავშირებით გაეცა პასუხი.

1. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა გულად წითელაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95231533-95, 02.06.2023 წელი.) და გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (უძრავი/მოძრავი ქონების) ნუსხა შემდეგი სახით:

რიგითი N	ქონების დასახელება	ქონების მისამართი	მესაკუთრე	შენობა-ნაგებობის ფართობი კვ.მ	დაკავებული მიწის ფართობი კვ.მ	მიწის სარეგისტრაციო N	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ყოფილი თამბაქოს დამზადების ადმინისტრაციული შენობა (კანტორა)	დაბა ქედა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №3	ქედის მუნიციპალიტეტი	154.50	132.00	21.03.33.072	17430.00	
2	ყოფილი თამბაქოს საწყობი	დაბა ქედა, აღმაშენებლის ქუჩა N17	ქედის მუნიციპალიტეტი	403.00	290.00	21.03.35.073	12410.00	
3	სასურსათო მაღაზია (პრიანიკები)	სოფელი ქვ. მახუნცეთი	ქედის მუნიციპალიტეტი	115.30	125.00	21.01.37.007.01.500	18594.00	
4	ყოფილი სასადილოს შენობა	სოფელი მერისი	ქედის მუნიციპალიტეტი	72.40	113.00	21.05.33.026	6922.00	
5	ყოფილი რძის ქარხანა	დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა N36	ქედის მუნიციპალიტეტი	547.40	4163.00	21.03.35.005	106233.00	

6	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფელი ახო	ქედის მუნიციპალიტეტი		550.00	21.08.34.022	3000.00	
7	ავტომანქანა VAZ 21214 ნივა სახ. ნომრით (BX924BB)	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი				1500.00	საწყისი საპრივატიზებო თანხა 4875 ლარი შემცირდეს 20 %-ით და განისაზღვროს 1500 ლარი.
8	ავტომანქანა FORD TRANSIT 2.4D მიკროავტობუსი სახ. ნომრით (HB137BB)	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი				4800.00	საწყისი საპრივატიზებო თანხა 6000 ლარი შემცირდეს 20 %-ით და განისაზღვროს 4800 ლარი.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი მახარაძემ მიმართა საკრებულოს წევრებს აღნიშნული მანქანების ჯართის ფასად შეფასების თაობაზე მათი მდგომარეობის გამო და ისე გამოცხადებულიყო ტენდერი.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი -0.

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №5, 23.06.2023 წელი).

2. მოისმინეს: ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმზე" ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უვადოდ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა გულად წითელაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმზე" ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უვადოდ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95231494-95, 29.05.2023 წელი) და განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა ტ. აბუსერიძის ქ.№10-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული 269.35 კვ.მ. ფართის (ს/კ21.03.33.016.01.520) გადაცემა უნდა განხორციელდეს ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმზე" პირდაპირი განკარგვის წესით, უვადოდ (მისი არსებობის ვადით), უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, რომლის გადასაცემი ფართის საბალანსო ღირებულება შეადგენს 31066,08 (ოცდათერთმეტი ათას სამოცდაექვსი) ლარი და რვა თეთრი) ლარს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №6, 23.06.2023 წელი).

3. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით შპს „ქედის წყალკანალი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა გულად წითელაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით შპს „ქედის წყალკანალი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95231661-95, 15.06.2023 წელი) და განმარტა, წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენდა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიღება, რათა ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ განახორციელოს აღნიშნული ქონების შპს „ქედის წყალკანალი"-სათვის უსასყიდლოთ საკუთრებაში გადაცემის შესახებ შესაბამისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის მომზადება.

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რათა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემდეგ, განახორციელოს აღნიშნული ქონების გადაცემა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95231181, 28.04.2023 წელი).

4. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, შპს „ქედის წყალკანალი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა გულად წითელაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, შპს „ქედის წყალკანალი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95231673-95, 16.06.2023 წელი) და განმარტა, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა 26 მაისის ქ. №2-ში მდებარე შენობა-ნაგებობის I - სართულზე არსებული

86.0 კვ.მ. საოფისე ფართის (ს/კ21.03.35.008.01.506) (გადასაცემი შენობის საოფისე ფართის შიდა აზომვითი ნახაზი განკარგულებას თან ერთვის) შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი"-ზე პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა, რათა ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ განახორციელოს აღნიშნული ქონების შპს „ქედის წყალკანალი"-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ შესაბამისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის (ბრძანება) მომზადება.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძის თქმით დღემდე მისთვის გაუგებარი იყო, როგორც საკრებულოს წევრი რატომ ვერ იღებდა ინფორმაციას მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებსა და შპს-ებში დასაქმებულთა ვინაობის შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №g-95.95231181, 28.04.2023 წელი).

5. მოისმინეს: სს „აჭარის წყლის ალიანსი"-სათვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა გულად წითელაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა სს -„აჭარის წყლის ალიანსი"-სათვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95231796-95, 28.06.2023 წელი) და განმარტა, რომ სს „აჭარის წყლის ალიანსი"-ს მიერ, გერმანია-საქართველოს ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში (ასევე ევროკავშირის დამატებითი დაფინანსებით) მიმდინარეობს აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების გაწმენდის პროგრამა. აღნიშნული ღონისძიებებით დაგეგმილია აჭარის დაბებსა და სოფლებში წყალმომარაგებისა და წყალარინების კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა, აჭარის ა.რ. ადმინისტრაციულ საზღვრებში, მათ შორის ქედის მუნიციპალიტეტში. რომლის განხორციელების შემდგომ შეიქმნება სტაბილური წყალმომარაგებისა და წყალარინების თანამედროვე, გამართული ინფრასტრუქტურა შემდგომში სათანადო ექსპლუატაციითა და უზრუნველყოფით. ასევე, სს „აჭარის წყლის ალიანსი"-ს მიერ დაგეგმილია დაბა ქედაში ახალი ადმინისტრაციული ოფისის აშენება, მაგრამ ახალი შენობის აშენებამდე, ზემოთაღნიშნული პროექტების დაუბრკოლებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, ორი წლის ვადით სს „აჭარის წყლის ალიანსი"-ს გადაეცეს ტბელ აბუსერიძის ქუჩა N5-ში, (ს/კ 21.03.33.005), მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილი, კერძოდ მეორე სართულზე მდებარე 98,92 კვ. მეტრი ფართი, აღნიშნული ფართის ნარჩენის საბალანსო ღირებულება დღეის მდგომარეობით შეადგენს 2672,77 ლარს.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა კითხვით მიმართა მომხსენებელს რატომ ხდება აღნიშნული ქონების უზურფუქტის წესით გადაცემა და არა ქირავნობით, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ სს „აჭარის წყლის ალიანსი"-ს ერთერთი აქციონერი (წილის მფლობელი) ქედის მუნიციპალიტეტია, ასევე ეს ორგანიზაცია სახელმწიფო საკუთრებაა და მიზანშეუწონელია იჯარით გადაცემა ქონების, აგიტომაც ხდება მისი უზურფუქტის წესით გადაცემა.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, მიწები რომელიც გადასცა მუნიციპალიტეტმა სს -„აჭარის წყლის ალიანსი"-ს პროექტების განსახორციელებლად, მასე პროექტის განხორციელების მიზნით შედგა თუ არა საერთაშორისო ტენდერი, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობდა.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ სხდომაზე საკრებულოს წევრებს აცნობა, რომ მოქალაქეების მიერ განცხადებების (თხოვნის) საფუძველზე, მოხდა სასმელი წყლის მილების შესყიდვა სს ,,აჭარის წყლის ალიანსი"-ს მიერ, რომელიც საჩუქრად გადასცა მუნიციპალიტეტს.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი მახარაძემ მილების გაცემასთან დაკავშირებით განახცადა, რომ გაცემული წყლის მილების გამოყენებაზე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტს განეხორციელებინა კონტროლი, რათა თავიდან აეცილებინათ წინა წლებში დაფიქსირებული შემთხვევები, როცა მოქალაქეებზე გადაცემული წყლის მილების დასაწყობება ხდებოდა და არა მიზნობრივად გამყენება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 14:50 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ამირან ცინცაძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში ნონა თებიძე